



იყოს მიუგო: „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან ქმნეს ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა“ (იოან. 8). დღეს კი როგორ ესმისთ თავისუფლება? ცხადია მრავალთა პასუხი ებრაელებრივი იქნება...

ლექი თავისუფლება მრავალ დაბალ მოაზრისათვის ხომ სანებიერო ტახტია; ის თავისუფლებას აწერს ალვირ აშვებულ საპირუტყვო მხარეს და, როგორც პირუტყვი, მონაა ყოველივე სისაძაგლისა და სიბოროტისა და არამც თუ განთავისუფლდა, პირ იქით უმწარესად პირველისა შთანთქმულ იქმნა სასტიკი მონობის მღვიმე—უფსკრულში.

არაიან მრავალნი, რომელნიც შეგნებულად ფიქრობენ პოლიტიკურ მონობისაგან თავისუფლებას, საგრამ თავისუფლების ძირითადი წყაროს—სულიერ შეწყობილებათა სიდიადეს—რომელზედაც დამოკიდებულია და ურომლისითაც შეუძლებელია გარეგანი წესწყობილების განეტარება, შორს გაურბიან და მხოლოდ გარეგან ცვლილებებზე დანდობილი გონებენ ქვეყანასა ზედა მშვიდობის მოფენას. დაივიწყეს მათ და არა დაიდევს გულსა შინა საფუძვლად, რომ პირველად ვეძიოთ შინაგანი თავისუფლება სულისა და ესე ყოველი შეგვეძინოს ჩვენ, რადგანაც პირველსა შეუდგს უკანასკნელი. ჯერ გვახოვანი სინათლე მზისა და მერმე შარავანდელი—სხივი ქვეყანაზე მნათობად, ჯერ თესლი დედა მიწის გულში და შემდეგ აღმოცენება ნაყოფისა. სავსება მთელ საადამიანო ნეტარულ ცხოვრებისა დამოკიდა მაცხოვარმან შემდეგ მცნებათა სიძლიერეს: „პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა (ჩვენს შინაგანში) და ესე ყოველი შეგვეძინოს თქვენ.“ მკურნალო პირველად განიკურნე თავი თვისი. აი უცთომელი ქეშპარიტების ძლიერებით განკაფული გზა ადამიანთა საყოველთაო ბედნიერებისადმი მისაღწევი. „მკურნალო განიკურნე პირველად თავი თვისი.“ ეს დიდებული მცნება ეს ღრმა უფსკრული სიბრძნე, როგორც დაღმართ ვნებათა მღვწელი, აგრეთვე აღმართ სათნოების ფრთებით მზიდველი დაუფასებელი სიმდიდრეა ადამიანის პიროვნებისა ზნობრივ მამულში. აქ არის ბრწყინვალედ გა-

მარჯვება თავისუფლებისა; აქ არის გამეფება როგორც თავის პიროვნების, აგრეთვე მთელ საადამიანო ზენარ უფლებისა; აქ არის სამარადისოდ დამხობა ყოველ გვარ ბოროტებისა, რომლითაც შებყრობილია ჩვენი უბადრუკება. ყველა ის სიბოროტე, რითაც მთელი ქვეყნიერობა შფოთავს, ღელავს, იბრძვის და უწყალოდ იტანჯება არის ნაშობი თავის განუკურნებლად ხეტიალობისა და შინაგანი სათნოების დავიწყებისა. უმეტესობა იმას ფიქრობს რომ სხვა განკურნოს, იგი სხვის ცხოვრებას ჩხრეკს და თავის საკუთარი თავი კი უცნობი და მოუწყობელი ურჩება; აქიდან, ადამიანთა ბოროტების საერთო თარაზოც ქვეით აღარ იწევს. ადამიანი ეძებს ნათელს გარეშე სახეებში და უღებ უყვია შინაგანი სულიერი მადლმოსილი თავისუფლება. ეს არის უმთავრესი ცთომა ადამიანისა, რომლითაც იგი, ტყვე ქმნილი და მწარე მონობის ჯაჭვით შებოროტილი ოცნებობს სიზრმებრივ ყოველად განფრდილი გონების სიბნელით და ცნობა მიხილი ვერ არკვევს ხსნის გზას. ვინც ცოდვის ქვემდებარეა, ის მონაა, მონა უუსაცოდავსი. აიღეთ ადამიანი რომელსაც თამბაქოს წვევისთვის თავი ვერ დაუნებებია. ეს ბუნების მეფე—ადამიანი, ეს ამაყი მებრძოლი თავისუფლებისათვის ერთ გოჯა თამბაქოს ლულას დაუმონებია, დაუმონებია ისე სასტიკად რომ თავიდან ვერ იშორებს! რა გვარიც გინდა თავისუფალ სახელმწიფოს „თავისუფალი მოქალაქე“ იყოს ასეთი ადამიანი, განა შესაძლებელია მას თავისუფალი დავაოქვათ, იმას, ვისაც თავისი პიროვნება და ნება მწარე კვამლისთვის და სხვაც ათას გვარ საზიზღარ თვისებისთინ დაუმონებია? „ყოველმან, რომელმან ქმნეს ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა“.

ქეშპარიტებავ! ვინ არ ეტრფის შენს სახელს? ყოველნი ტომნი, მსჯელობანი და მწერლობანი გაძალდებენ, მაგრამ შენი ნათლის სრული დისკო მხოლოდ ქრისტეში იხილვება და მას მხოლოსა ვუგალობ: „ქრისტე ნათელილო ქეშპარიტო, რომელი განანათლებ და წმიდა ჰყოფ ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად!“

საცოდავო ადამიანო! სად ეძებ ბედნიერებას, გამოხსნას? სად უნდა ჰპოვო თავისუფლება როცა გაელტვი ვნებათა შებრძოლებას?!

ვაი, რა უგულისხმო ხარ, ადამიანო, კეთილსა და ბოროტს შორის! რა უვიცი ხარ შენი თავისა! რა საზიზღარ თვისებებით შებოროკილებული და აღვსებულია შენი გული! ოხ, ეს ღიღებუი კაცი, ეს მაღალ-პატიოსნება, ეს საკვირველი სიბრძნე, ვითარ მდაბლდება, ვითარ უგუნურდება, ვითარ ლიგდება ცოდვების წინ, კარგავს სრულიად ღირსებას და უერთდება პირუტყვს. ვაი რა საშიშა ხარ შენ, ცოდვაო ბოროტო, რა ჯაჭვი ხარ სულის ძალის შემკვრელი, რა ძლიერება გაქვს ადამიანის მომადღურებელი! ვინ მიხსნას მე უბრალო შენი ხელისაგან!

ენატრი და თაყვანსა ვცემ, ძმაო ვინც ჰოვე ზეგარდმო შეწევნა ცოდვების საძლეველად, შეიძინე ერთად ერთი ქვეყანაზე სასურველი და საქმელი დიდ—სახელოვანებით—თავისუფლება ცოდვებისაგან.

უღმრთო არსებო! ალექსი ბერი, (შემდეგი იქნება).

აკაკი წერეთელი

როგორც მკოხსანი ძამულიშვიდი. (გაგრძელება \*)

როგორც საღმრთო წერილის მოძღვრებით ყველაზე დიდი ცოდვა მომაკვდინებელი და მიუტევებელი—სულის წმიდის გმობაა, ისე აკაკის ენაზე ყოველი ცოდვა მიეტევება კაცს და გადაგვარება და მამულის დაღატი—კი არა. „კრულ იყოს მისი სახელი ვინც მთა გასცვალოს შარბედა! თვის ტომის დამწუნებელსა ჰირი მიუფა კარბედა“. გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია! მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“!

გადაგვარება, თუ მტკიცე მამულისშვილობა, აკაკის აზრით, აღზრდაზე და მოკიდებული უმ-

\*) იხ. „შინ. საქ.“ № 9

თავრესად. ბავშვი აკვანშივე „ეროვნული ნაკადულით“ უნდა იზრდებოდეს და არა „დედინაცვლის შრატით“.

—„დედის რძესთან ვინც შესწოვა მისი ქვეყნის სიყვარული, მას გაუწმენდს სულსა და გულს ეროვნული ნაკადული.“

მაგრამ შრატსა დედინაცვლის ვინც-კი დააჯერა გული, იმას უწევს ნაღველ-შამად ცხრა მთას იქით ნაკადული.“

ამ დედინაცვლის ხსენებაზე მგოსანს თითქმის ზაფრის ქარები მოსდის. თავის „სატროფოს“, რომელიც „ციხეში ეგულვება, ცხრიკლიტულში მჯდომარე“, ასე უმოძღვრის მგოსანი: „გაიძვერა მოყვარე—ტკბილს გასმევს და ტკბილს გაქმევს, შეზავებულს ბანგითა“,

დედის ხმაზე გიმღერის დედინაცვლის ჩანგითა. გაუფრთხილდი, ნუ გჯერა მაგის ტკბილი ნანინა, შენზე წინეთ სხვაც ბევრი მოჰხიბლა, შეაცდინა.“

ამავე აზრებს უქადაგებს აკაკი ყოველს დედას, რომელიც ასე დამღერის შვილს აკვანში.

„პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,

გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო, შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!

ანუგეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო! შვილო მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო! ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტერი აშინაო; იაკ-ნანა ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

მესამე ლექსში: „ქართველი ქალი“ სერზედ სდგას და უნდა შეიტყოს, ომი რით გათავდა: ვინ გაიზარჯვა: თათარმა, თუ სოლომონ დიდმა. ომში ქალს სამი ვაფი შვილიც ჰყავდა გაგზავნილი. უცებ შიკრიც მოჰკრა თვალი და ამბავი ჰკითხა. პასუხად მიიღო:

„ვინ ჩემს თავს!.. სჯობს დამებას  
კოდვილი და მწარე ენა! (ეუბნება შიკ-  
რიკი)

ვხედავ შენზედ უჩხავლია  
შავ-ბედიოსა ყორანს შავსო!  
რადა გითხრა მე საბრალომ  
შენს შეილებას დამკარგავსო!

ქალმა უთხრა: „სუ!... არ გკითხავ!  
ჯერ მიიხარო შენ ესაო:  
თათრებს დარჩა გამარყვება,  
თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო!“

როცა შიკრიკმა უამბო სოლომონის დი-  
დი გამაჯვება, ქალი გამხიარულდა და ახ-  
ლა კითხა შვილების ამბავი:

„აბა ახლა მომიყევი,  
რა გარახდა ჩემს შვილებსო“

— შენი პირმშო აღარა გყავს, — მიუგო  
შიკრიკმა, —

აღუქსანდრე მოგიკლესო;  
უმცროსი ძმა მიეშველა,  
იმასაც დღე უმოკლესო.  
თათრის ტყვიამ გაუხვრიტა  
ორთავ გულის ფიცარიო;  
მოკვდნენ, მაგრამ სახელი-კი  
ნახეს დაუვიწყარიო!..“

დღეას ცრემლი უნებურად  
წამწამებზედ შეუწერდა;  
ნაცრის ფერი გადაეღვა,  
გული ხშირად აღუგერდა.  
მაგრამ ეს სთქვა: — გამიზრდია.  
ქართველ ქალსა ქართველს შვილი!  
ეს ნაღველი დედისათვის  
მწარე არის და თან ტკბილი!

მამულისთვის მიშობია,  
მისი ქირის სანაცვალოდო;  
ქართველ დედებს ვალად გვაძევს,  
ამ ქირს უნდა გაუძლოთო.“

ესა სთქვა და ისევ ჰკითხა:  
საშუაღმა რაღა ჰქნაო?  
ამოიგო ძმების სისხლი?  
თათრის შპორის დასდგა ძნაო?“

— არა, ჩემო ქალბატონო,  
ვერ გავხედავ ტყუილსაო;  
ვე სახელი არ უნახავს

ქალაჩუნა თქვენს შეილსაო!  
უფროსი და უმცროსი ძმა  
მტრის რაზმში რომ გაჰყოდა,  
საშუალი ტყეში იწვა;  
გულ-მტყველი ასტიოდა.“

ეს რომ ესმა, ქართველის ქალი  
უნაირად დაიღრიჯა,  
— ამოჰყარა ძუძუები,  
მოთქმით თავი მოიკლავა:  
„ვინ ლეჩაქს შერცხვენისა,  
ვაჰ ძუძუებს გაიკიბულსო,  
ვაი დედას, თითქმის პირშავს,  
რა მახვილი მეცა გულსო!“

არ ესტიროდი იმ ორ შეილსა,  
ომში მოკლულს გამირულადო,  
ვიგლოც ცოცხლად დარჩენილსა  
უსახელიოდ... ვირულადო!..“

ასე, ჩვენი მგოსანი დან და თან უახლოვ-  
დება და შედის იმ წმიდაწმიდათაში, რომელ-  
საც კაცობრიობის ენაზედ სამშობლო ეწოდება  
და რომელიც აკაკიმ „ხატა“ უწოდა „სოფ-  
ლიო სახატეზედ“. აქ იწყება აკაკის პოეზიის  
ყვავილები, უკვდავება და გვირგვინი.

რაც აქნადის ვსთქვით აკაკიზე, ეს მხო-  
ლოდ შესაძალი იყო მის პოეზიის თაიგულში,  
დიდ, უკვდავ, სახელოვან და მამულისშვილ  
აკაკიზე ახლა უხწყებთ საუბარს.

საქართველო აკაკის ღმერთია, ღვთაებაა,  
განხორციელებული სიყვარული და მშვენიე-  
რებაა. მისი ბადალი ერი ისტორიამ არ იცის  
და მიტომაცაა, რომ ის მისი ხატია, თვითონ  
სანთელი და პატრუქია და 70 წელია რაც მის  
წინ წელა—წელა, მაგრამ ტკბილად და ამაყო-  
ბით იწვის, დნება და იფერფლება. სამშობ-  
ლოს ძველს დიდებაზე მას ეოუანტელი მოს-  
დის ტანში და პედნიერია, რომ იგი ქართვე-  
ლია. „მეისტორიენიო, — ამბობს ერთს ადგილზე  
აკაკი, — სიძველეთა მკვლევარი გაოცებით ეკი-  
თხებთან თავიანთ თავს: რა მიზეზი იყო და რი-  
თი აიხსნება, ზეციურ სასწაულით, თუ ქვე-  
ნიურ ვრძნეულობით, რომ ამ პატარა საქრი-  
სტიანო ქვეყანამ მოიგერა მათედ მოზღვავებუ-  
ლი მტერი, ის ძლიერი მახმადიანთა ერი, რომ-  
ელმაც გაუჭირველად დაამხო დიდებული ბი-

ზანტია და დანაწილა სლავიანთა სამთავროები. „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცებაო,— ამბობს მეორე ადგილზე აკაკი,— რომ ჩვენ ქართველები ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია. უძველეს დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არაინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არა მოზღვავებოდეს!... ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალეობდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირათ, რომელსაც უხარ-მაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ დაუძლურებული და ქაფათ ქცეული უკანვე იქცევიან...“

ეს სასწაული... ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიაც და ლხინშიაც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს.

დიდება იმათ ღებობას!

დიდება იმათ სახელსა!

იმათ სხივებზე დღეს ჩვენში

ქალი თვალს ვეღარ ახელსა!...

„ძველთაგან დაწყებული ჯერ არ ყოფილა დედამიწის ზურგზე მისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვა და სხვა გვარ უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახლებიოს... მაგრამ „უნაკო კანონი არ იქნებაო“ და ძველ ხალხებშიც ვრდინ... ქართველები, რომელნიც სულ სხვა თვლით უყურებდნენ ქალებს. უფლებით გათანასწოებულ ამაზონელებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთეს მათგანს ვაოცებით იხსენიებდნენ, როგორც, მაგალითად, საოცარ მქდას და გრძნულ ამირსაას, კოლხიდელ ქალებს... ქრისტეანობის დროს დედა-კაცი კიდევ უფრო ამაღლდა მამაკაცების თვალში საქართველოში... პირველობა ყორიფელში ქალებს ერგოთ.

აქ ნინო, თამარ, ქეთევან  
სამარადისოდ ქებულან,  
დედა გვირგვინად ზეგარდმო  
კუთხეებით გაბრწყინებულან...  
თამარ დედოფალი, რომლის მეფობის  
დროს სიკვდილით არაინ დასჯილა, უმ-

ტკიცებს მის შემდეგ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთვლება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკობებით, ღმობიერებით და სიყვარულით.

აი ეს სამი ქალი, ეს „მთიებთა სამაია“ ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს და მათდა სადიდებლად, უნდა გამოვტყდეთ, რომ არც იმათ უღალატნიათ ისტორიულ სიმართლისათვის და ღირსეული მიმდევარნი ყოფილან ამ სამთა წინამორბედთა. თამარ ცბიერმა რომ გოჩა მგოსანს უსაყვედურა რატომ მკვდარ თამარ დედოფალს ეტრფიალება და მე ცოცხალ თამარს კი აოაო, გოჩამ ასე უპასუხა:

„შეგას რად ბრძანებ აბა, ბატონო, განა თამარნი ქვეყნად კვდებიან? საუკუნოდამ საუკუნოში ისე, ვით მთვარე, გაახლდებიან. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება მათი სიცოცხლე დაუვიწყარი და სათაყვანოდ სამარადისოდ საერო გულის ელებათ კარი... მე რომ ვუგალობ, ის სხვა გრძობაა, რუსთველებრივი, ტარიელური! ის ნუ გგონიათ თქვენ გულის ფხანვა საყოველთაო... ყოველ დღიური.

მხოლოდ რჩეული ცისა და ქვეყნის აღმამტრენითა იმას მისწვდება და დანარჩენი უმეტესობა იმ ძალს ვეს იგრძნობს, ისე მიწდება

ახლო შევხედოთ, ვინაა  
მეორე ქალი ჩვენი მგოსნისა.  
— მაგონდება შახ-აბაზი  
მთელს კახეთზე გულმდელკარე  
და იმის წინ ტყვედ წამდგარი  
ქალი ეშხით მოელვარე.

მასი ჰეაისსა! ტეაის:  
ჩვენება ხარ, თუ ნამდვილი მიწის შვილი?  
თავს გვირგვინი გეკადრება  
და რას ნიშნავს ფეხთ ბოკილი?  
— ჩვენს სისუსტეს და თქვენს ძალას!  
ქალი მტკიცედ ეუბნება:

აღბათ ღმერთთან შემკოდე ვართ...  
კურთხეულ არს მისი ნება!..“

ვხედავთ, მაგრამ შენდა თავად  
ჩემ-წინაშე რა გაქვს ბრალი?  
ნუ თუ მართლა ბრძოლის ველზე  
გამოსულხარ სუსტი ქალი?

—რატომ არა?... ქალი რომ ვარ,  
უფრო ჩვილი არ მაქვს გული!  
აქ მარხია ჩემის ქვეყნის  
ერთგულება—სიყვარული.

და ეს არის, დღევანდელ ქირს  
რომ მიქარგებს... მიადვილებს!..  
მამა-პაპათ მიინდობდეს,  
რომ გადავსცე მეცა შვილებს!..

—მამა არ მყავს!.. თათრის ომში  
მოკლულია ჩემი ქმარი!..  
შვილები ჯერ არ დაზრდილან...  
მე-ღა დაერჩი მეომარი..

ვერ ვაქმევედი ოჯახს სირცხვილს!  
მომეხადა უნდა ვალი:  
მამაკაცის მაგიერად  
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი.

და ავიღე განა მიტომ,  
რომ ბორკილზე გამეცვალა?...  
ეჰ რა ვუკოთ?... ნათქვამია:  
„აღმართსა ჰხნავს მეტი ძალი!“  
ერთით ერთზე ვერ მოჰბედავ...  
გუნდით ებრძვი ყოველს ქართველს!...  
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი  
მეც ვერ, დამრევს თათარი ხელს!..

„ბაშეადონუმ!“ — შახმა ბრძანა, —  
ქალი უნდა ამისთანა!  
ვხედავ, რითაც მიმკლავდება  
ერთი ბოხია ეს ქვეყანა!..

ეს ბრძანა და სარდლებს უთხრა:  
შეაყენეთ სისხლის ღეროა!  
მზემან შუქი მომაფინა,  
ენება გულის დამიცხრაო!..

მესამე ქალი—ნათელა თავის ქორწილში  
ოდის მთავართან კოტნე დადიანთან საყო-  
ველთაო ღვინის დროს მოწყენილია. ქმარი  
გკითხება, საწერეთლოს, შენი სამშობლო ცი-  
ხის მოდინახის დატოვებას ხომ არ წუხო. ქა-  
ლი ეუბნება.

—ჩემო ხელმწიფე! შენთან მყოფს  
მომავონდება მე ვინა?

მაგრამ სხვა რამემ შორიდან  
საგრძნობლად გულზე მიკბინა!  
ველარ მოვისმენ გულგრილად  
„შაღსა“ და „მრავალ-თამიერს“,  
სანამდი საქართველოში  
ბატონად ვხედავ ქვეყნის მტერს.

თქალწინ მებატვის ერთი რამ,  
ისა მკლავს და ის მალონებს:  
ლიხს იქით მოძმე ქართველი  
ყმად გაუხთია მონღოლებს!

დღეს აქ ლხინი გვაქვს საერო,  
ყანწ-აზარფეშის ტრიალი;  
იქ კენესა ისმის დაჭრილთა  
და ქერივ-ობლების ღრიალი!

ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცებს,  
გმირთაგმირს, ლომთა—ლომებსა?  
კოდეა არ არის, ესენი  
ერიდებოდენ ომებსა!?

აქ რას უსხედან? წავიდენ?!  
შენ უწინამძღვრე მთავარსო!  
და მეცა თქვენთან, იკოდეთ,  
მამულის მსხვერპლად მზავარო!

წინადადება მხიარულებით მიიღეს, საომ-  
რად წასვლის თადარიგს შეუდგენენ და ნათე-  
ლამაც ასე დამღერა ჩანგურს:

ჩანგურს სიმები გაფუბი,  
მოვმართე ნელა—ნელაო,  
შევუხმატკბილეთ ერთმანეთს,  
ოდელა დელა—დელაო!

თავის ჰანგებზე თავის ხმით  
წკრიალებს ერთად ყველაო,  
ერთი მეორის თანხმობით,  
ოდელა—დელა—დელაო!

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,  
მაშინვე უნდა შეველაო,  
რომ არ გაფუქდეს ჩონგური,  
ოდელა—დელა—დელაო!

ჩონგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,  
სხვა და სხვა კუთხის მცხოვრები,  
ოდელა—დელა—დელაო!

ჩვენც ხომ სიმების, სისუსტემ

სიმაართლე დაგვიბნელაო!  
 ბნელში რა სასიმღეროა;  
 ოღელა—ღელა—ღელაო!  
 მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით,  
 ფუტკარი... ქიანქველაო!..  
 და ჩვენ რად ვმღერით ცალ—ცალკე;  
 ოღელა—ღელა—ღელაო!..  
 ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
 მტერისთვის საღრჩობელაო!..  
 მტერს ვაი დედა ვაძახოთ  
 და ჩვენ ვთქვათ: დელა—დელაო!  
 როდესაც ნოინმა ნათელას შეხედა და  
 გაეცნო მის თავდადებას და საარაკო გმირო-  
 ბას, მსგავსად შახაბაზისა,  
 —სთქვა: „საქართველოს მფარველი  
 დიდი ყოფილა... ძლიერი!  
 სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,  
 რათ უნდა გაქრეს ის ერი?!“  
 ამ სახით,  
 ...ჩვენი ძველი დედები  
 სამაგალითო ყოფილან:  
 ქვეყნისთვის თავი დაუდევსთ,  
 რადგანაც მისთვის შობილან.  
 გამოუზღიათ გმირები  
 სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკად  
 და მით გვაძლევენ მაგალითს  
 თითქოს ზღაპრულად, არაკად!  
 აი მიზნები, აკაკის აზრით, ძველი ჩვენი  
 დიდებისა, ძღვევამოსილებისა! ქალი იყო კე-  
 თილი გენი საქართველოსი და თუ რამ თვალ-  
 საჩინო მოიმოქმედა საქართველომ, ეს კაი დე-  
 დების და კაი ცოლების წყალობითო.  
 ასეთი უქმფინარია მთელი წარსულიც  
 საქართველოსა აკაკის პოეზიაში. მისთვის ეს  
 ძველი საქართველო, ეს „ხატი“ აკაკისა, სა-  
 ფლავში კი არაა, მკედარი კი არაა, ზეზეა,  
 ცოცხალია, ხორც შესხმულია, თავზე ადგიჯ  
 ახლანდელს თავის აჩრდილს და კიდევ სხივით  
 აშუქებს ჩვენ დაკნინებულ დროის წყვედი-  
 დით მოკულს კუთხეებს. ვერ აუწერია და ვერ  
 წარმოუდგენია ძველი დიდება და ღირსება  
 ერისა. აბა დაუგდეთ ყური ჩვენს მგოსანს; რო-  
 გორ ხატავს იგი ძველ საქართველოს და მის  
 „ცას—ფირუზს, ხმელეთს—ზღომუნტს“.

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა  
 და ან ცაში ვარსკვლავები?  
 ვინ შეამკოს ღირსეულად  
 ქართველთ გმირთა მხარ-მკლავები?  
 ვინ მოგვითხროს მათი საქმე  
 უთვალავი, საგმირონი  
 და ან ნათხე გადმოსული  
 მაღლი ღვთისა და მირონი?  
 ნაშთი ძველი დიდებისა  
 არ გამჟრალა ჯერაც ყველა...  
 დღესაც მისი შარავანდით  
 ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..  
 შეიდ სამთავროს მოგვაგონებს  
 მოელვარე ის შეიდ-ფერი  
 და გვამღერებს: „არ მომკვდარა,  
 გაიღვიძებს ისევ ერი!“  
 ახლა მოვისმინოთ, რა იყო საქართველო  
 ბედნიერ წუთებში, ღვინის დღეს:  
 —„მეფე დავით კურატ-პალატს  
 ჰქონდა ერთხელ წვეულება—  
 მშვიდობის დროს ჩვენს მღვდებს  
 ჰქონიათ ეს ჩვეულება.  
 საქართველოს ყოველ კუთხით  
 მოეყარა თავი ერსა,  
 ილხენდენ და გაჰკიოდენ  
 ერთ ზმად მრავალჟამიერსა.  
 და მართლაც რომ შეწონდათ მაშინ იმათ  
 ეს მოღბენა  
 რადგან იმ დროს გადმოსული  
 იყო ქართლზე მაღლით ზენა.  
 გარე მტერი, დათრუგნილი,  
 შულღს მათ ვეღარ უბედავდა  
 და შიგნაგან მშვიდობასაც,  
 ვინ იყო, რომ ვერ ხედავდა?  
 ამით გული უხაროდათ  
 ბატონს და ყმას, ყველას ერთად  
 კაცსა კაცად აფასებდენ,  
 აღიღებდენ ღმერთსა ღმერთად;  
 საქმის დღეზე მუშაობდენ,  
 უქმე დღეზე მოილხენდენ,  
 მეფე ხალხს და ხალხი მეფეს  
 სიამესა გულს მოჰყენდენ.  
 მთვრალობა და „სადღვგრძელო“  
 სათვითოო არ იცოდენ,

ჩენი ღვინო რომ ენახათ,  
 სირცხვილითაც დაიწოდენ.  
 პირველ ხმაზე ახსენებდენ  
 საქართველოს და უფალსა,  
 დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ  
 შეფესა და დედოფალსა;  
 ბოლოს გმირებს იგონებდენ,  
 მამულისთვის ომებში მკვლარს  
 და მღვდელმთავრის კურთხევითა  
 სემდენ იმით შესანდობარს...  
 სულ ამითი თავდებოდა  
 მაშინდელი საღვთაგანო,  
 თუმცა მათში მეტი იყო  
 საქები და სასახელო.  
 ამგვარივე იყო იმ დღეს  
 ზომიერი ჭამა და სმა,  
 მოიღვინეს, გაშაირდენ  
 და ერთმანეთს სტუორცნეს მათ ზმა.  
 მღვდელი მ. კელენჯერიძე  
 (შემდეგი იქნება.)



**ც ხ ო ვ რ მ ბ ა ს.**

ცხოვრებაო საკვირველო,  
 სატრფოო და საურველო,  
 საიდუმლოთ საფარველო,  
 და სიცხადის საბურველო!  
 —  
 ხან დღეო და ხან ღამეო,  
 ხან სამოთხის ტკბილ ნექტარო,  
 ხან ქვესკნელის ტანჯვის ფსკერო  
 და სიმწარის ცრემლ-საღვარო!  
 —  
 გულისათვის ია-ვარდო  
 და გრძნობების მატკობელო!  
 გონებისთვის ვნების წყაროკ,  
 მტანჯველო და მახრჩობელო!  
 —  
 მაგრამ მაინც გვევარდის სული,  
 ცხოვრებაო, სატრფოო ჩემო,  
 სევდის მღვიმის კუბოშიაც  
 არ მსურს\* ჯამი — წამ უშენო.

მისთვის გეტრფი და მიყვარხარ  
 დასასრული არ გაქვს ბოლო;  
 ამის მტკიცე ჩემში რწმენა  
 მოწმე არის და სიმბოლო.

—  
 აბა რისთვის შევხაროდე  
 ცხოვრებისა ჯამთა ტრიალს,  
 თუ ვერ ვნახავ ჩასულ მზისა  
 სატრფო სხივებს და განთიადს?!..

—  
 რალათ მინდა დედა-მიწა  
 ტკბილ სამოთხედ რომ აქციო  
 და ბოლო დროს ამდენო და  
 წყვილადისკენ გამაქციო?!.

—  
 მე იმისთვის სიხარულით  
 ვეგებები ახალ-დროებს  
 და არ ვწუხვარ ჯამთა წარსელას —  
 უკვდავებას მიახლოვებს.

—  
 მაშ ცხოვრებაე რათ უყვარხარ,  
 ვისაც სწამხარ სოფლად მხოლოდ,  
 ცივ-სამარეს სთელის ამ სოფლად  
 საუკუნო შენსა ბოლოდ?!

—  
 რისთვის ეტრფის შენს ახალ-წლებს,  
 ჯამს თანდათან რომ აშორებ  
 და ღიმილით საფლავისკენ  
 მსწრაფლ დღითი-დღე მიაქროლებ?!

—  
 ცხოვრებაო, სატრფოო ჩემო,  
 შებრკმის ქვაო მრავალთათვის,  
 როცა ჩახვალ რად არ სწამხართ  
 კვალად აღმობრწყინებამდის?

—  
 ღამეს მარად ხომ მოყვება  
 განთიადის ელვარება  
 კილით-კიდე მახარებლობს,  
 სიკვდილს მოსდევს უკვდავება!

—  
 ამა რწმენის აღმაფრენით  
 ვეგებები ახალ დროებს:



მომავალი უკვდავების  
ნეტარ დღეებს მიახლოვებს!

ონაურე მწირო.



ილია ზაზაძე ( )

როგორც ღაბაქაძე — პოეტი.

(27 ღვინობ. 1837—30 აგვ. 1907 წ.)

*ისე იყოვენივენი და ზეირი ამ ზეირის ხელისა,*  
*ილია ზაზაძე — აღნიშნავს თავის დროსა,*  
*მეცნობს ეს — ის იქვე ეწაფება*  
*სიყვარულსა — უკვდავების წყაროსა!...*  
*ილია ზაზაძე.*  
*(ვაგრაძეობა\*)*  
*ქვემოთ მოიხსენიებენ*  
*32?*

„დედა და შვილი“ პატარა დრამატული  
სცენაა. საგანი ამ სცენისა ისე დიადი და მა-  
ღალია, რომ იგი თავის-თავად მოახდენს დიდ  
შთაბეჭდილებას მკითხველზე.

სცენა შეეხება დავით აღმაშენებლის  
ფრიად შესანიშნავი მეფობის იმ ხანას, როდესაც  
მთელი საქართველო „ერთის ზღვიდამა  
მეორემდე ერთს ფიქოს“ მიეცა და აღიძრა  
მტრის გასადევნელად. ამგვარი ხანა, ფრიად  
უნებოდაც რომ იყოს აღწერილი, მაინც ყო-  
ველთვის მოახდენს შთაბეჭდილებას ადამიანზე.  
„დედა და შვილი“ როდესაც წაიკითხავთ, მარ-  
თალია, შთაბეჭდილება რჩება თქვენ გონება-  
ში, მაგრამ რჩება კიდევ უკმაყოფილება, რომ  
იდეალი არ არის შესაფერად ასრულებული:  
მაღალს საგანს ეჭირვება მაღალი ხელოვნური  
ასრულება. ყოველი ხელოვნური თხზულება გა-  
ნიზომება მით, კარგათ ხატავს, კარგად ასრუ-  
ლებს თუ არა იგი რომელსამე იდეალს. არი-  
ან უხელოვნო თხზულებანი, რომელნიც მკით-  
ხველზე მოახდენენ შთაბეჭდილებას. რას უნ-  
და მივაწეროთ ეს მოვლინება? მხოლოდ მათ  
შინაარს, საგანს, მეტს არაფერს.

და თუ გულწრფელად გვსინჯავს მკით-  
ხველი „დედა და შვილი“ დარწმუნდება, რომ  
ავტორი ცდილობს იმოქმედოს მკითხველზე

40... ბნ. საქ. № 6.)

მხოლოდ მაღალი, რიტორული ფრაზებით.  
ჩემის აზრით, „დედა და შვილი“ თავიდან ბო-  
ლომდის თითქმის ცალიერი რიტორიკაა. ამო-  
ვილოთ პატარა მინუში ამ სცენიდან:

„... თავისუფლება, შენ ხარ კაცთა  
ნავთ-საყუდარი,

შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინ-  
და საფარი,

შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა  
ქვეყნისა,

შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ-  
ბუნებისა.

მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრ  
ძალული.

ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე  
იყო;

მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავ-  
სე სრული

პირველ კაცთათვის უშენოთა არა რა იყო.  
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხ-  
ვება;

მსწრაფლ აღვიარეს, ჰოი ღმერთავ, თა-  
ყვანებითა,

მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის  
უკვდავება

და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნე-  
ტარებითა.

ეგრედ ნაშოენი რად წავევრთვი მოსავ-  
თა შენთა?

რადღა ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლ-  
სა ადამიანი?

რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად  
ჩვენდა

და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ  
სისხლიანი?

თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვე-  
ყნად მომფენი,

მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებ-  
ნელი შენი!

რად არ შენდება უსისხლოთა მისი ტაძარი,  
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთა-  
ება არა?...“

აქ, ამ სცენაში უბრალო ქართველი დე-  
და თავისუფლების შესახებ ფილოსოფოსობს

ისე, თითქოს ჩერნიშევსკი, ან ილია ჭავჭავაძე იყოს და, რასაკვირველია, მთელი სცენა ყალბი გამოდის, სრულიად მოკლებულია იგი ბუნებრივობას.

ზოგიერთი კრიტიკოსი პოეტურ ნაწარმოებში უპირატესობას აძლევს ცნობიერებას, ქუთის შემწვობით ხელოვნურ ნამოქმედარის დამუშავებას და ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძეს ამ მხრით ქართულს ლიტერატურაში ბადალი არა ყავსო. ეს ნამდვილია, რომ ილია ჭავჭავაძეს, რაკი წარმოდგენისა და ფანტაზიის ძლიერება აკლია, ცდილობს ქუთის შემწვობით დახატოს ცხოვრება. მაგრამ ესეთი ბეჯითი საქმიანობა წმინდა ხელოვნურ ნაწარმოებს ვერასოდეს ვერ შექმნის. ამისი უტყუარი მაგალითი სოფლიო ლიტერატურაში გიოტეს შესანიშნავი „ფაუსტია“. ევროპის განთქმული კრიტიკოსები ერთხმად ამტკიცებენ გიოტეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილის შეუდარებლობას და მეორე ნაწილის სისუსტეს. ეს გარემოება იმისგან წარმოდგა, რომ პირველი ნაწილი „ფაუსტისა“ პირდაპირი შემოქმედებითის ნიჭით (непосредственное художественное творчество) არის დამუშავებული და მეორე ნაწილი კი ცნობიერებისა და ქუთის შემწვობით არის დაწერილი. ამიტომაც, პირველი ნაწილი ამ საუცხოო ნაწარმოებისა შეუდარებელი გამოვიდა, ხოლო მეორე — კი სუსტი. მაშასადამე, ჩვენი პატრიოსანი კრიტიკოსები ცდებიან, როცა ხელოვნურ ნამოქმედართა დამუშავებაში ცნობიერებას აძლევენ უპირატესობას და გულწრფელად ამტკიცებენ, რომ ილია ჭავჭავაძეს ქართულს ლიტერატურაში ბადალი არა ყავსო. ჩვენი პოეტის სისუსტეს უფრო იმისი პატარა ლექსები ამტკიცებენ.

მართალია, ილია ჭავჭავაძის პატარა ლექსებშიაც არის რითმა, არის სილაზათეც და ზოგან საკმაოდ ძლიერი გრძნობაც, მაგრამ არ არის ჭეშმარიტი, მაღალი ტალანტის მიერ შექმნილი პოეტური გრძნობა სიშვენიერისა, სინაონარისა და სინაზისა. ამიტომაც იმისი ლექსნი მხოლოდ ლექსად რჩებიან და თავის დღეში ვერ შექნიან ცხოველს მყოფელს, ჭეშმარიტი ენტელეზიზმით აღსავსე ძლიერს და ღრმა

ლირიკის. ილია ჭავჭავაძის ლექსნი იმდენად გარეგნულს შნოსა და სილაზათეს მოკლებულნი არ არიან, რამდენადაც შინაგანს, სულიერს სიშვენიერესა და სიტუტფეს. აი, აქ არის ამ პოეტის ლექსთა უმთავრესი და დიდი ნაკლებლოვანება.

რითმების სიღარიბე მაინც ძალიან ეტყობა ილიას პატარა ლექსებს. გარდა ამისა ამ ლექსებში პოეტი ურიგო საშუალებასაც ხშირად ხმარობს. სიტყვებს წყვეტს, როგორც მაგ., „... ან შენმ გიჟმა რა იცოდა.“, ზოგან კიდევ ლექსისთვის უმატებს სიტყვებს ბოლოში ხმოვან ასოს ა — ს: გულშია, დუმილშია და სხვა. რაც ლექსს არ უხდება, გრძნობას სიცოცხლესა და მოძრაობას აკლებს და ლექსებს ერთმევა ის ძალა, რითაც ყოველი პოეზია სულდგმულობს.

ბევრი ლექსი ჩვენი პოეტისა ზოგიერთ ტემაზე დაწერილი ძალიან ქუთიანათ და, თუ გინებავთ, გულწრფელადაც, მაგრამ შვენიერ და მდიდარ პოეზიაზე აღზრდილს ადამიანს არა თუ ღრმად და ძლიერად, ისე ოდნავაც ვერ შეუტოკებს გულს და ვერ მიიპყრობენ მის ყურადღებას დიდხანს. ამიტომ არ შევაწუხებ მკითხველს და არ ჩამოვთვლი ამ სუსტს ლექსებს. აქ დავასახელებ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსებს: „ქართლის თუ (ქართველის?) დედას“, სადაც პოეტი ამბობს:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარბულა  
რაც უწყალოს დროს ხელით დანქმულა,  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...  
აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალი!  
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მოშავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...  
შენდე მიიღებს ნერგს შენგან დარგულს  
და მოგვეკმს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

დღევ! ისინე ქათვლის ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
უკან რჩეს კვალი განათლებული.“

ლექსი „გავსწორდეთ ბედო“, სადაც პო-  
ეტი ბედს შესჩივის:

„... სისხლისა ცრემლით დამწვი თვალები,  
გულზედ მატყვია შენი ბრკალები...“

ელეგია „მკრთალი ნათელი“

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი  
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება,  
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი  
როს-ღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..“

„ალაზხან“, „ნანა“, სადაც პოეტი ქართ-  
ველ დედას ათქმევინებს შესანიშნავს სიტ-  
ყვებს:

„... დედათა გული ჩჩვილი  
მამულისთვის მაგრდება,  
რად შინდა იგი შვილი  
თუ მისთვის არ მოკვდება!  
ვისაც ძე არ შეუკლავს,  
როს მამულს სჭირებია,  
შვილო, იმ ვაგლახ დედას,  
შვილი არ ყვარებია!...“

მას დედის ძუძუ ტკბილი  
შხამათაც შერგებია,  
მამულისთვის სიკვდილი  
ვისაც დაზარებია!..“

შვენიერი ლექსია „თ. ლექსანდრე ქავ-  
ქავაძე“, რომელსაც, თუ მკითხველიც ნებას  
მომცემს, სრულად მოვიყვან აქ:

„მისი ლექსი შვეებით, ლხენით  
ხან მეჯლისში შეჭფრინდება,  
გულს ჩაეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს,  
გამღერებს და ამღერდება;  
ხან ღონდება ნაზ ქალსავეთ,  
უიმედო სიყვარულით,  
ხან იფეთქებს ჰაბუქსავეთ  
და განდევნის სევდას გულით;  
ხან ბურჭებში მიმალული  
ჰზის მარტო, ვით იადონი,  
შეპყვებს ვარდას გულსაკლავად  
ტრფობის ისრით განაწონი;“

ხან ჰობის ველად, მარტო ჰგაღობს  
ულაბნოში ვითა მწირი,  
შეჰკენეს შავ ბედს ქვეყნისასა,  
ქვეყნისათვის ანატირი;  
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,  
დაფიქრებით გოგზის ტბასა  
და ემღურის მწვავის მოთქმით  
დაუნდობელ დროთ ბრუნვასა...“

„იანიჩარი“, „დაბნელო სული...“ და  
„ოჰ, სად არიან სიტაბუკე, სიტკბონი შენნი...“  
ნიკოლოზ ბარათაშვილის ზე-გავლენით არის  
დაწერილი. „უსულდგმულო ცხოვრება“, „ნი-  
კოლოზ ბარათაშვილზე“, „მტკერის პირას“,  
„სტუდენტების სიმღერა“, „მას აქედ, რაკი  
შენდამი ვცან მე სიყვარული“, „ბედნიერი  
ერი“, რომელიც ნათარგმნია და აღნიშნული  
ქონდა კიდევ პოეტს ეს გარემოება ეთრნალ  
„ივერიაში“, სადაც პირველად იგი დაისტაშა.  
„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „უცხო თე-  
მის ყარბ მთქმელსა“, „ალარც ნატკრა“ და  
ალარც იმედია!..“ „ჩემო კარგო ქვეყანავ, რა-  
ზედ მოგიწყენია!“, „ბაზალეთის ტბა“ და პა-  
ტარა ლექსი აქვს პოეტს „გაზაფხული“ — „ტყემ  
მოისხა ფოთოლი“, რომელიც ჩინებული რამ  
არის. ეს ლექსი წააგავს პლემჩევის „Начало  
весны“, რომელიც ასე იწყება „Ильсь одъ-  
нется листвою...“ „აგერ მერცხალიც ჭყი-  
ვის“ ლექსის გულისთვის აქვს ნათქვამი პოეტს,  
თორემ განა ილიამ არ იცოდა, რომ მერცხალ-  
ზე ქართველები ვიტყვიან ქიკიკოპსო!?

მე ჩამოვთვალე პატარა ჩინებული ლექსე-  
ბი ჩვენი პოეტისა, რომელნიც მკითხველსაც  
უმტკიცებენ, რომ ილია ქავქავაძე იყო უფრო  
პოეტი ინტელიგენციის. ილია წინ უძღოდა  
თვისი ორგანოთი ქართველ ინტელიგენციას  
და ხატავდა მხოლოდ ამ წრის ხალხის ფიქ-  
რებს და იდეალებს, რომელნიც მზა-მზარეუ-  
ლად გადმოქონდათ რუსეთის მოწინავე წრი-  
დან.

ამ მხრით რომ შევადაროთ ილია აკაკის  
დიდს განსხვავებას შევამჩნევთ. მაშინ, როდე-  
საც ილია თვის პოეზიას ეწვროთ შემოფარ-  
გლავს, აკაკიმ გაათართოვა ქართული ლირიკის  
სასღვრები და ნამდვილი საერო, წმინდა სა-

ხალხი კილო მისცა მას. ამიტომაც ჩვენი ინტელიგენცია, როგორც საკუთრად თვის პოეტს — მესვეურს, ილიას უფრო აფასებდა და მალევე აყენებდა, ვიდრე აკაკის, რომელიც სულ ერთიანად საერო, ყოველი წრისა და წოდების ფიქრთა და გულის ნადებთა გამომხატველი იყო და, ამიტომაც, დაიმსახურა მან სახელი სახალხო პოეტისა.

ილია ქავჭავაძე ისე, როგორც აკაკი წერეთელი, დიდის იმედით უყურებს ქართლოსიანთა ერის მომავალს. „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“ ამბობს ერთი, „საქართველო არ მომკვდარა და არც მოკვდება“ ამბობს მეორე. ეს ღრმა და ქეშმარიტი იმედი დაბადა და განაცხოველა ბატონ-ყმობის გადავარდნის დიდმა საქმემ. ამ შესანიშნავმა გარემოებამ გააორკვეცა ენერგია და ტალანტი ამ ორი გასაცვიფრებელი მოღვაწისა და იმათმა შრომამ, მართლაც, მეტად მდიდარი ნაყოფიც გამოიღო. ამიერიდან ჩვენი ლიტერატურის ისე, როგორც საზოგადო ცხოვრების, შეჩერება ყოველად შეუძლებელია...

ხომლელი.

(დასასრული იქნება.)



**კვირიდან კვირამდე.**

**მის იმპერატორობით უდიდებულესობას,** ხელმწიფე იმპერატორს სინოდის წარდგინდებით შესაძებ სარისხის კლადიმონის ორდენით დაუჯილდოებია დეკ. კოსტოპოლი მიხის საზღვაოთა ერთგულ მწეუძსურ, განმანათლებელ, მისიონერულ და პატრიარქულ მოქმედებისათვის.

**დამაწმინდვე ვოსტოპოლის** სინოდში თხოვნა შეუტანია უკველ მონღოლადებთან და სამსახურადგან განმთავისუფლეთო. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მ. კოსტოპოლისთვის გამოიწვია სინოდის წევრების გნისადებამ იმის შესახებ, რომ მ. კოსტოპოლის, როგორც სამუდამო სასწავლებელში კურს დამთავრებულს ამ შეიძლება სასწავლებლების რევიზია მიენდოსო.

**განმანათლებელი საზოგადოება** ქ. ფოთში, როგორც გეტყობინებს გან „**Черн.**

**Вѣст.**“ — დაწესებულა განმანათლებელი საზოგადოება, რომელსაც პირველი კრება უკვე მოუხდენია ბ. მუხნარჯის თავმჯდომარეობით. კრებას გადაუწყვეტია ფოთში საზოგადო საკვირაო სკოლის გახსნას, ხოლო ნოქართოვის უკველადიური, სადაც ისეთ სპეციალურ საგნებს სწავლავან, როგორც ბუსგაატორია. დაუდგენიათ გამართონ სახალხო ლექციების ვაიხვა ბუნდოვან სურათებით; მოიწვიონ ბ. ლექტორი რომაქიმე 14 და 15 მარტს ლექციების წასავითხად. ამას გარდა ახლო მომავალში წავითხული იქმნება ლექცია ქრისტიანობის გაერეკლებზე კავკასიაში. „**მანური საქმეების**“ რედაქცია წარმატებას უსურებს ამ მეტად სიმშაბთურ ჯერ კიდევ ხორჩ დაწესებულს: ტეშ-მაციტად წასაბაძვია ფოთელ სხალგაზღობის მკვლელი. უმეტეს სამღვდელთაგან უნდა გამოიღოს უფრო ბაძვა; წყლით სავსე პირიან დაიცავიეროს და სული მიჭურს ქრისტეს თესლის თესვას. კმინა დუმილი, კმინა უდებება, თორემ ღვთის სულგრძობისაგან საზღვარი აქვს და მით უმეტეს საღხისაგან, რომელიც კურ შეითვისებს მომღვარს მტონას, მომღვარს მინჯს და უდებს. „**გამოკვდი** მუშაგნო კენხასანო“ — სავალი მრავალ არს, ხოლო მომკვლნი მცირედ“.....

**ს. მახეთური** არის შორაზნის მარაში სოფ. მუხსეთური, მკვარდნაღი, მიურუბული, მივიწეული. დაწეის დაბადებდგან აქ არაფერი სკოლას მსგავსა არ უოფ და. წარავითხვა არავის ცოდნისა და არც არავის უსწავლებია. რაღაც სსწავლით ამ სამოთხი წლის წინად გაჩნდა მკოლას, მიგრამ კეთდება რაღე თუ არა ამ სკოლაში არავინ იღის. მსწავლებელი იძხის ნამეტანს კმუშაბ წელში გაწედი ფული ჯამგარად თუ არ მამღვკთ სავქიმოთ მანც მომცითო; გამგე მღვდელიც არა სახუმირათ იფიცება, სკოლაში სავქიმოთა მოსწავდეები მსწავლებლებიც კარგად მანდინობს, თქვინა ღვთის გულისთვის ორი კავქიეი გადმოუგადეთ ამ სწავლს შრომისთვისო. ეს სკოლა საბაყოდგან გადმოკიტანეთ, სადაც მას 120 მანეთი ეძლეოდა წელიწადში და რა დააშავა მუხსეთურში გადმოსვლით, რომ ეს ფული მოუსწეკითო. არ იცის გამგემ რაშის საქმე, თორემ ამდენი სწიკვარით თავს არ შეიწეხებდა. საქმე იმაშია, რომ მკვარდნილ სკოლის მსწავლებელს ჯამგვითს არ უნაშხავენ; სად უნდა დახარჯოს ასეთმა მსწავლებელმა ჯამგვითა, რომ დაჯინიშნოს? და თუ კურ დახარჯავს, მამ რათ უნდა, ტუუილა რომ შეახაროს? ან სად არის შესახისი ფული.


ეს თუ განდა გინიკრული მოსწრებამო მეტეკით თქვენ, მაგრამ სხგას, სკოლის დათვალიერებას რა უძლის? როგორ თუ რა უძლის? კრ-

თი ის უმლის, რომ მიურგებელი სოფელია და იქაურმა მასწავლებელმა „ანის“ რომ ასწავლოს, მაინც ძვირფასია და „ანის“ სწავლებას რაღა დათვალა უნდა; მეორე ის, რომ ზამთარში სიცივეს და ზაფხულში სიცხე, შემოდგომაზე და გაზაფხულზე კი ამინდობაა, კაცი შეწუხდება და იმათ არ ღირს რაღაც მეხსეთურის სკოლა. მამ ასე? იტყვის მეხსეთურელი ტეტია. ასე ჩემო ტეტია, ასე. ვისი ბრალია, სადღაც წისკიდზე რომ დაესხლება. დაესხლებაოდი სადმე ან ქუთაისში, ან თბილისში, ან უკიდურეს შემთხვევაში რეინის გზის პირას და იქნებ შენც ბუდი გაგიღამებდა და განხსნებდნენ სამ წელიწადში ერთხელ მაინც.

**სარწმუნოების გამოცვლა.** გას. „დროება“ გვაცხობინებს, ვახუთის ორი სოფლის ძველდროთ ბაბტასტობს მიუღიათ. თუ ეს ხმა მართალია, სწორეთ სამწუხაროა და მეტად ჭკუის სასწავლებელი იმ პირთათვის, რომელნიც სათაგეში უნდა სდგომოდნენ საქართველოში მართლმადიდებლობას და რომელთაც ამის მაგიერ პოლიტიკანობა დაწვეს და ეგვიპტის ინტერესები სახელმწიფოებრივ ინტერესებში აურავს, და ეგრეთვე ვი ვერა არცეს რა.

**თელავის თავად-აზნაურთა დაღმწილება.** იგივე გასუთი გვაცხობინებს, რომ თელავის თავად-აზნაურთა მორიგ კრებაზე დაპირებულმა ეპისკოპოსმა კირიონის შესახებ და შეიძლება დაუდგინა: „თელავისა და თიანეთის მხარეების თავად-აზნაურთა კრება აღმოფრთხილია კირიონ ეპისკოპოსის გაცხადებით წინააღმდეგობის შორეულ მონასტერში. ესეთი ბრძანება უსათუოდ გამოწვეულია კერძო პირების ცაღისწამებით, რადგან კარგად ცნობილია დრმად მატერიალურ მწუქსმთაგრის კირიონის ზნეობრივი სიფაქიზე რომ მას რამე ბოროტ-მოქმედება ჩადინოს. ამიტომ თავად-აზნაურთა კრება ადგენს: ეცნობოს ეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ მან იმკამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, ეს ბრძანება ხელმოკრედ იქმნას განხილული და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ ეპისკოპოს კირიონის გადასახლება მოტიკება სავარაუდო იქმნეს გამოცხადებული, რომ ქართველი ხალხის სულაური აღმოფრთხილება კათოლიკოს და ხალხს თავიდან ასცილებს ის უსამართლო შე-

ხედულება მას კრძობებს და განწყობილებზე, რომელიც რუსის საზოგადოებაში ამ დამაღონებელ ამბის გარშემო გაგრძელებულმა სმებას გამოიწვიეს“.



**რას ჩავლივართ?**

**I.**

Давайте народу общее человеческое, и смотрите, что он способен править, чего не достаёт ему? Вот это угадайте!

*Сташкевич.*

Мы не должны составлять себя суждения ни о каком предмете, которого мы не понимаем со всею ясностью и отчетливостью.

*Вокль.*

ყოველი ფიზიკელი მეტეოროლოგისათვის ცხადია, რომ ამ ორ-სამ წელიწადში ჩვენი ლიტერატურა სულ სხვა, ახალ გზას დაადგა, ზურგი შეაქცია წარსულს თითქოს ამ წარსულში ცოტა რამ იყოს ქუთაში მოსავალი და გამოსადიგი, თითქოს არავითარი საზოგადოებრივი მისწრაფება არ ტრიალებდა ამ წარსული წარმომადგენლების თავში!! გამოავლდა პერიოდული გამოცემების რიცხვი და, თითქოს ერთის შეხედვით, მუსტარია ბევრი აღმოჩნდა საზოგადოებაში. — ეს ხომ კარგია მკითხველო! — ეს გარემოება ხომ უნდა გვახალისებდეს, და გვაშენებდეს, რადგან აზროვნების აღორძინება ერის წარმატების ნიშანია, მისი დიდებული მომავლის მომასწავებელია!! მაშ რაღა გვიკირს, დავალოთ პირი და დეე!! ილინოს ჩვენმა აზროვნებამ ამ ურიცხვი გამოცემების ფურცლებზე, დეე აღორძინდეს ჩვენი ქვეყანა!..

მახსოვს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაშთის გადმოსვენებაზე თბილისში განსვ ნებულმა ილია ქაქვიამემ სხვათა შორის სთქვა: „პოეზია ტვირთია და ვაი მას, ვინც ხელს ჩაკიდებს და მისი სიმძიმის ტანას კი ვერ შეიძ-

ლებსო.“ ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზე; მეორე დღეს ბაღებში თუ ბუღვარზე მოსივრნე ინტელიგენცია გაიძახოდა: ქაქავადემ დიდებული სიტყვა წარმოსთქვაო.—და მართლაც, ვინც ღრმად აკვირდება საქმეს, ვისაც შეუგნია მნიშვნელობა და მოწოდება პოეზიისა, ის აგრე ახირებულიად ვერ მოეპოტინება მას, იგი შეკრთება იმ ტვირთის სამძიმით, რომელსაც წოდება პოეზია და, რომ არ გაიღანძლოს საზოგადოების თვალში, ხელს ააღებს მას, რის ტვირთვაც არ შეუძლია. ეს პატიოსანი საქციელია და არავისაც არ ექნება უფლება ასეთ საქციელისათვის გაღანძლოს დამიანი.

ღიახ, პოეზია ტვირთია. და არა თუ პოეზია, არამედ ყოველი დარგი მწერლობისა: კრიტიკა, სიტყვა-კაზმული ნაწარმოები და ფილოსოფიური მსჯელობანი; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი (პოეზია) უფრო საგრძნობლად, მეტად მიმზიდველათ ხატავს იმავე აზრებს, რომელიც გამოითქმის პროზაში; პირველის ფორმით გამოხატული აზრები მეტის ძლიერებით და სიამოვნებით მოქმედებს მკითხველზე, ვანემ მეორეთი. მაშასადამე მეორე რიგის მოღვაწეობაც ტვირთია, ძლიერ მძიმე ტვირთია და, ქაქავადისა არ იყოს, ვაი მას, ვინც ბავშურის გულუბრყვილობით და უაზრო თაემოყვარებობით ჩაჰკიდებს ხელს!—იგი არის მღანძღველი და მატყუარა არა თუ თავის თავისა, არამედ მაცდური მთელი მკითხველი საზოგადოებისა, მატყუარა მოზარდ თაობისა, როგორი საქციელიც ძვირად დაუჯდება მწერალს შემდეგ საზოგადოების გამოფხიზლებისა და შეგნებულად აზროვნებისა.

ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას რომ დააკვირდეს, თვალ წინ წარმოგიდგება მთელი ლაშქარი პოეტებისა და პუბლიცისტ-ფილოსოფოსებისა და ამბობ ერთის შეხედვით: ნეტავი ჩვენ, ქართველებს, რომ ამოდენი ბრძენი და პოეტი გამოგვიჩნდა! აღორძინება თუ გინდათ, აი ეს არის!! გაზეთების ფურცლები ლექსებით და ბრძენთა წერილებით არის გატენილი... ნამდვილათ გადავაქარბეთ ევროპის ერებს!!—ისინი თუ ამოუბენ შექსპირით,

ბაირონით, გეტით, ჰეინეთი და სხვებით განა ჩვენ კი არ გამოგვიჩნდენ ასეთები?! ჩვენ რომ პოეტურ ნაწარმოებით ვსტკებებით, აქ ხომ ლექსებით ლაპარაკობენ!!.. თითქოს პარნასზე გრძნობდეს თავს და აპოლონის მფარველობით სიამოვნებდეს?! მხოლოდ ერთი-ღა გვაკლია;—არ გვყავდა პასკალები, დარვინები, ფლურანსები და სხვა ბუნების-მეტყველები, მაგრამ, ღეთის წყალობით, ეს ნაკლიც ცნობილმა ი. გომართელმა შეგვივსო და რაღა გვიშავს!!—მაშ, ჩავენათ ევროპის ერების ფერხულში და სიამოვნებით დავუკრათ ტაში, არა ჩემო მკითხველო?!

მართლაც ჩვენი მეღექსეები და ბუნების მეტყველები ახირებულად როდი იგდებენ თავს და იმ ზემორე აღნიშნულ ბაირონებს, შექსპირებს, ფლურანსებს და სხვებს აღარებენ თავს! და არამც თუ აღარებენ, მათის ნაწერების ღირსებით და დაფასებით სურთ გაასაღონ თავიანთი ნაჯღაბნები. —ქორთ ქორათ ნუ ჩამომართმევთ ამას!—ერთხელ აკაკის უსაყვედურეს, ნაწერებზე დიდ ფასს ადებ და ძნელი შესაძენია შენი ნაწერებო. აკაკიმ, ვგონებ თავის „თავ-გადასავალში“ პასუხი გასცა ასეთ საყვედურებს და სთქვა: შესაძლოა სხვა მწერლების დიდ წიგნებად გამოცემულს ნაწერებს ცოტა ფასი ედვას და ჩემს პატარა კრებულს მეტო, მაგრამ ღირსებას მიაქციეთ ყურადღება და არა სიგრცესო. აკაკი მართალს ბრძანებდა, მაგრამ ვინ გაუგონა!.. მისი ნაწერები ისევ გამოუცემელია და გაბნეული სხვა და სხვა ორგანოებში. თუმცა ფრიად საქირო კი იყო მათი ერთად გამოცემა. პუშკინის თხუზულგბათა პირველი გამოცემის შეძენა მკითხველს უჯდება 76 მანეთი. ჩვენ კი სამს მანათსაც ვერ გავიმეტებთ! რა გაეწყობა, ასეთი გემო გექონია მადლობა ღმერთს!!.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს საკითხს. თუ არა ესცდები ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს ერის გათვითცნობიერებას, მის წარმატებას და ზნეობრივად ამღლებას. ყოველივე მას, რაც უშლის ერის ამ თვისებების განმტკიცებას და წარმატებას, უნდა მიექცეს ყურადღება და ამოიკვეთოს ძირიან-ფესვიანად. ლი-

ტერატურა სანთელია, რომელიც უნდა ანათებდეს და აკეთილშობილებდეს საზოგადოებას; უამისოდ ლიტერატურა მკვდარია, უსისხლოა, როგორც ლეში, რომელიც ნაცვლად ნოყიერობისა სიმყარეს გაყნოსებს და გიწამლავს მთელს ორგანიზმს. ლიტერატურაში ყოველ ახალ მოვლენას დიდი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ლიტერატორთა წრე და თუ ახალი ნაწარმოები ვერ აკმაყოფილებს ლიტერატურის ზემო აღნიშნულ მოთხოვნილებას, თუ ამ ნაწარმოებს აკლია ის თვისებები, რომელნიც დავასახელებთ, მაშინ საჯაროთ უნდა გამოითქვას აზრი და განიდევნოს ასეთი ნაწარმოები სასტიკ და მიუდგომელ კრიტიკით. ასე იქცეოდა რუსეთში მეორმოცე წლების ლიტერატორთა წრე, სადაც სტანკევიჩი და ბელინსკი უღმობელად ეპყრობოდნენ ყოველ ნაწარმოებს, რომელიც ზნეობრივად და გონებრივად არ ამადლებდა საზოგადოებას. ეს შესანიშნავი წრე მეტი დაკვირვებით აღევნებდა თვალს თანამედროვე საზოგადოებას; როგორც გულ-კთილი და მოყვარული კვიში, ყურს უდგოდა მის მაჯის ცემას; იკვლევდა მის გონებრივ სიმაღლეს, ითვალისწინებდა იმას თუ რის მოღვაწეობა, რის მონელება შეუძლია საზოგადოებას და ამ მოსაზრებით ემსახურებოდა მას, ხოლო თუ რამ უაზროს, შეუსაბამო და უზნეოს იტყოდა ვინმე, დაუნდობელად შეებრძოლებოდა ხოლმე ეს წრე და ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ მოღვაწეთა სამსახური და მოქმედება ხელით მისათითებელია რუსეთისთვის.

— „მახოლდეთ საზოგადო-ადამიანურთ (общее-человѣческое) და დააკვირდით თუ რის შეთვისება შეუძლია მას .. რაშია მისი ნაკლებეანება?! აი ეს გამოიკანით“! გაძააოდა სტანკევიჩი, დიდი მეგობარი ბელინსკისა. და მართლაც საგულისხმოა ასეთი ჩამახლი. — მეთურმა უნდა გაითვალისწინო, თუ რა აკლია საზოგადოებას და უმეტესად უნდა მიიღო მხედველობაში ის, თუ რის მიღება შეუძლია საზოგადოებას, ცნობიერების და შეგნების რომელს ღონეზე დგას იგი; უამისოდ მსახურება არ შეიძლება. — საქმელი მაშინ არის სასარგებლო, თუ კი შეიძლება მისი მონელება, წინა-

აღმდეგ შემთხვევაში მანებლობის მეტს რას მოგვიტანს?! ყრმას რომ ჰური აქამო ძუძუს მაგიერ, დაიტანჯება, იწვალეს, ჩამოქნება და მერმე მოკვდება. ასეა საზოგადოებაც. თბილისის სხალხო უნივერტეტში ფილოსოფიურს თემაზე ლექტორს ეყოლება შესაფერი მსმენელები თუ არა, შეითვისებს თუ არა ასეთ ლექციების შინაარსს დამსწრე საზოგადოება?! აი აქ არის საკითხი და არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება ამ საკითხს; მით უმეტეს, რომ ლექტორთა, რიცხვი ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდა ჩვენში და, სხვა რომ არა იყოს რა, წყლის ეკონომია უნდა დავიცვათ, რადგანაც თბილისში წყალი მიღებით არის შეყვანილი და ლექტორები კი თითქმის ყოველ ფრაზის წარმოთქმაზე წყალს სვამენ, რომ სასა არ გაუშრეთ! ესეც ხომ წინსვლის ნიშანია?! თურმე ფილოსოფოსი კანტიც ასე იქცეოდა იენის უნივერსიტეტში!! მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, ნება მიბოძე კოტა რამ გიამბო სტანკევიჩის რუსულ წრეზე, რადგანაც შემადრებელმა მეთოდმა მიმიყვანა იქ და ისიც ვსთქვათ, გვქონია თუ არა ჩვენ, ქართველებს, ასეთი წრე?!

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის რუსეთის შესანიშნავ მოღვაწეთა წრეს აშვენებდა თავის ადამიანური ღირსებებით მიმზიდველი პიროვნება სტანკევიჩისა. ის არ ყოფილა ჩინებული მეცნიერი; რომელსაც რჩება სიკვდილის შემდეგ მეცნიერული ნაშრომი; არ ყოფილა დიდებული პოეტი, რომელიც ნება-უნებლიეთ იტაცებს შენს გრძობა-გონებას; არ ყოფილა ქველმოქმედი, რომელიც ქველმოქმედებით მაინც იხსენება სიკვდილის შემდეგ. მაშ, იკითხათ, რა კაცია ეს სტანკევიჩი, რომელზედაც გვითითებო?!

მოღვაწე არ იდიდება მარტო მაღალ გონიერი ნაწარმოებით, არც ქველმოქმედების გრძობით გამოწვეულ მდიდარ შეწირულობით. ცხოვრებაში შეხედებით ისეთ პირებს, რომლებიც ამაების გარეშე, თავის პიროვნებით, ცხოვრების სახით, მიღლის ზნეობით და ავტორიტეტით ბევრს აკეთებენ და ემსახურებიან საზოგადოებას. მარტო ბრძენი ფილოსოფოსი

სოფრათი, რომელსაც დაწერილი არაფერი  
ლაუტოვებია, მაგრამ მისის მალაღ-ზნეობითი  
პიროვნებით და გავლენით ბრწყინვალეთ ანა-  
თებს ამოდენ საუკუნეთა მანძილზე, საკმაოა ამ  
აზრის დისამტკიცებლად.

ივერიელი.

(შემდეგი იქნება)

ნაპროლოგი.

† ნ მარტს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა დე-  
კანოზი სპირიდონ ნიკოლოზის-ძე ფანცხავა.

განსვენებული მტკვანე ხსათის და ღვთის  
ღრმა მორწმუნე მოძღვარი იყო და, ამიტომაც,  
ნეტარსენებულ გარდაცვალებას დიდ პატივს  
ცემდა.

სპირიდონი ძალიან ადრე დაიბადა, მაგრამ  
ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსი მანც  
ჩინებულად დასრულა და სემინარიაში გზავნიდენ.  
და და იმისმა, ავღანის ასულმა უფროსი ვაჟის  
სსუგან გამეტება არ ინდამა, რადგან ახალგაზდა  
სპირიდონს მშობი და დები უაჟა მოსაყვლი.

მდედლად ადრე ეკურთხა სპირიდონი სოფელს  
წყაღტუბოში. აქ იმის მეტყუებით აშენდა შკენიერი  
ქეთკირის ეკლესია და ერთი საუკეთესო სამინისტ-  
რო სასწავლებელი, რომლის მზრუნველადაც იგი ერთ-  
ხმად იქნა აზნეული და მთელი რც და რვა წელი-  
წადი განაგებდა ამ სასწავლებელს, რისთვისაც კავ-  
კასიის სამოსწავლო მზრუნველმა წმ. ანას მეო-  
რე ხარისხის ორდენზე წარადგინა. მან თვისი სა-  
მაჯალთო შრომითა და სათნო ცხოვრებით დამ-  
სახურა დიდი საუკარული არა თუ თვისი მრგვლისა,  
არამედ მთელი ზუნემის საბღაღოჩინოს საზოგა-  
დოებისა.

დეკანოზი სპირიდონი გარდაიცვალა სამოც და  
თერამეტა წლის და დასაფლავებულ იქნა სოფელ  
სომულში მაცხოვრის სახელობაზე აგებულს ტა-  
ძარში.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მხაფლიძე.

გამომცემელი იოსებ ლევაძე.

# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

## გამოვიდა და ისყიდება

პირველი სერია სამეურნეო წიგნებისა

### აზრეუშმის მოკლა

ბ. მკურნალისა.

ფანი 33 კ.

გამოვიდა და ისყიდება ავტორთან „მი-  
ნაური საქმიანობის“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი  
მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ. პ.  
სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტო-  
რიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფანი  
**60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10  
პროც. დაეთმობა.

იქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბე-  
ბელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული  
შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრი-  
სტიანობა და სოციალიზმი“ ფანი **ორი**  
შაური.

## დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კვლენჯერიძისა:  
თეორია სიტუაციებისა — მორავ დასრულებული  
გამოცემა. ფანი 40 კ. იუდაება ქართული ქრესტო-  
მატიკა — მისივე I, II, III და IV კლასებში სა-  
კათისკო წიგნი.

იგივესეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიცი-  
ანიძესთან და გ. ბეჟენეიშვილთან, თბილისში წე-  
რავითისკის საზოგადოებაში.

